პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 2 დეკემბერი, 1944 წ. № 242 (7195). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ადამიანებს სძულთ გერმანელი დამპყრობლები არა იმიტომ, რომ ისინი უცხო ერის ადამიანები არიან, არამედ იმიტომ, რომ მათ აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს ჩვენს ხალხს და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს. ჩვენს ხალხში ძველთაგანვე ამბობენ: „მგელს იმიტომ კი არა სცემენ, რომ ის რუხია, არამედ იმიტომ, რომ ცხვარი შეჭამა“.

**ი. სტალინი**

## ბოლშევიკური შეურიგებლობა სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებებისადმი

მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ ამხანაგმა სტალინმა შეაჯამა ამ უკანასკნელი წლის მანძილზე საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ დიად გამარჯვებათა შედეგები. ეს წელი ფრონტზე გადამწყვეტ გამარჯვებათა წელია, ზურგში ჩვენი ხალხის შესანიშნავ მიღწევათა წელია. ომის მსვლელობაში თავი იჩინა დიადმა და უძლეველმა ძალამ, რომელიც ჩვენმა ხალხმა და ჩვენმა არმიამ ჰპოვეს ოქტომბრის რევოლუციის მიერ წარმოშობილ სოციალისტურ წყობილებაში. წლევანდელმა წელმა, რომელსაც ახასიათებს ჩვენი ინდუსტრიის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდა, კვლავ და კვლავ ცხადჰყო სოციალისტური ეკონომიკის სიმტკიცე. 1944 წლის თერთმეტი თვის სამეურნეო შედეგები მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენენ ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სიტყვებისას იმის შესახებ, რომ „საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი შეუდარებლად უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე მტრულ სახელმწიფოთა ეკონომიკა“.

დიდია ჩვენი სამეურნეო წარმატებანი. დიდია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ზურგის მუშაკების მიერ მიღწეული მონაპოვარნი, მაგრამ ასევე დიდია ჩვენი პარტიის წინაშე, წითელი არმიის წინაშე, მთელი ხალხის წინაშე მდგარი ამოცანები. წითელი არმია საწყის პოზიციებზე იმყოფება ფაშისტი მხეცის ბუნაგზე გადამწყვეტი შეტევისათვის. წითელი არმია ემზადება იმისათვის, რომ ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმე. ჩვენი ლოზუნგი

ამ დროს ვერ უზრუნველჰყოფენ ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით ნაწარმის გამოშვებას.

ამას წინათ ასეთი ფაქტი მოხდა: სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ცნობა გამოაქვეყნა წლიური გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ, იმ მომენტში, როცა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახეების პროდუქციის მიხედვით დავალება არ შესრულებულა. როგორც ჩანს, ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს ავიწყდება, რომ გეგმის შესრულება უნდა ვიანგარიშოთ არა მარტო მანეთობით, არამედ გამოშვებული პროდუქციის ერთეულებითაც. მხოლოდ მაშინ, როცა ყველა დავალება, ყველა დაკვეთა სავსებით არის შესრულებული, შეიძლება ვუთხრათ სახელმწიფოს: მე შევასრულე მოვალეობა.

პარტია ყოველთვის მოითხოვს სამეურნეო მუშაკთაგან, რომ ისინი ღრმად ჩასწვდნენ ეკონომიკას, იმუშაონ საწარმოთა მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებაზე, რენტაბელობისა და სამეურნეო ანგარიშის საკითხებზე. ომის პირობებში სათბობის, ელექტროენერგიის, ნედლეულისა და მასალის მომჭირნეობით გამოუყენებლად შეუძლებელია სამეურნეო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა. ჩვენი გეგმები ნავარაუდევია ისე, რომ წარმოების ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები მთელ ძალებს დარაზმავენ, რათა გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, რათა მეტი პროდუქცია გამოუშვან მუშათა უმცირესი რაოდენობით და რაც შეიძლება ნაკლები ნედლეულისა და სათბობის დახარჯვით. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, ზამთრის თვეებში.

[illegible]

ტებით ასრულებენ სახელმწიფოს დავალებებს, არის ცალკეული საწარმოები, რომლებიც არათანაბრად მუშაობენ. დასასრულ ჩვენში არის ქარხნები, რომლებიც საერთოდ დამთლიანად ასრულებენ პროგრამას, მაგრამ ამა-

[illegible]

გაუმარჯოს ფრონტისადმი [illegible] დგომის გაძლიერებას!

გაუმარჯოს ჰიტლერულ გერმანიაზე ჩვენი სრული გამარჯვების დღის მოახლოებას!

**„პრავდის“ 1 დეკემბრის მოწინავე**

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
### 1 დეკემბრის ოპერატიული ცნობა

[illegible]

რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მაიოში, იზმენი, რაც-კოზარი, მაგოჩი, ჩიკოშ-ტეტეში, შაშდი, მადიარ ხერტელენდი, მანფა, აბალიგეტი და რკინიგზის სადგურები სასვარი, მაგოჩი.

მდინარე დრავის ჩრდილოეთით დუნაის გადალახვისას და დუნაის დასავლეთ ნაპირზე მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას მომხდარი ბრძოლების დროს, 1 დეკემბრამდე, ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 5.150 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში ჩვენმა ჯარებმა შეტევა განავითარეს და მდინარე ონდავას მიადგნენ. გერმანელები დიდ იმედს ამყარებდნენ ამ წყლის ზღუდეზე. მათ მდინარის დასავლეთი ნაპირის გასწვრივააგეს თავდაცვითი სიმაგრეები და დიდძალი საცეცხლე საშუალებებით აღჭურვეს. ხელსაყრელ პოზიციებზე დაყრდნობით მოწინააღმდეგეს იმედი ჰქონდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების შეტევა მდინარე ონდავის ზღუდეზე. ქალაქ გუმენეს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ქვეითები ონდავაში გავიდნენ იმ საშუალებებით, რაც ხელთ ჰქონდათ, და მის დასავლეთ ნაპირზე გამაგრდნენ. გერმანელები ცდილობდნენ უკუეგდოთ ჩვენი ქვეგანაყოფები მდინარის გაღმა, რისთვისაც ბრძოლაში გამოიყვანეს რეზერვები და დაასუსტეს მეზობელი უბნები. ამით ისარგებლეს საბჭოთა მესანგრეებმა და მალე ააგეს საპონტონო ხიდი იმ პლაცდარმის ჩრდილოეთით, რომელიც ჩვენმა ქვეითმა ჯარმა ხელთ იგდო. გვარდიელი მეავტომატეები ხიდით გადავიდნენ ქვეითი ჯარის დასახმარებლად და გააფთრებულ ბრძოლაში გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ქალაქ მიხალოვცეს სამხრეთ-დასავლეთით მოქმედებენ, აგრეთვე გადალახეს მდინარე ონდავა, წარმატება განავითარეს და დაიკავეს ხაკვანძო რკინიგზის სადგური და ქალაქი ტრებიშოვი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის ბევრი ორთქლმავალი, ვაგონი და რამდენიმე საწყობი სამხედრო ქონებიანად.

* * *

უნგრეთში ქალაქ პეჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგის ყველა ცდამ—შეჩერებულიყო დასაყრდენ პუნქტებში, მარცხი განიცადა. საბჭოთა მებრძოლები მძიმე დარტყმებს აყენებენ ჰიტლერელებს და აიძულებენ მათ ზედიზედ დასტოვონ პოზიციები. N შენაერთის ნაწილებმა, სწრაფი იერიშის შედეგად, დაიკავეს გზების კვანძი და ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი შაშდი. ჩვენმა ნაწილებმა შეტევა განავითარეს და გერმანელები განდევნეს სოფელ ჩიკოშ-ტეტეშიდან, რომელიც სამ კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ დომბოვარის სამხრეთით. ერთი დღის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. გერმანელებს წავართვით 29 ქვემეხი, 8 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და ბევრი სხვა დავლა.

საბჭოთა მებრძოლები, რომლებიც უგზოობის ძნელ პირობებში მოქმედებენ, მამაცობისა და გმირობის შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებენ. გვარდიის სერჟანტი რუბინი პირველი შეიჭრა მტრის სანგარში და გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი გაჟლიტა. გვარდიის სერჟანტმა ყულიბაბამ ხიშტით, სროლითა და კონდახით რვა ჰიტლერელი დახოცა. რიგითმა დუდნიკოვმა ექვსი გერმანელი მოჰკლა, სამი კი ტყვედ წამოიყვანა. რიგითებმა მალიარენკომ და ულიანოვმა 12 გერმანელი დაატყვევეს. გვარდიის რიგითებმა პილინჩუკმა და სოლომიმ გერმანელთა სატყვიამფრქვევო გუნდი მოსპეს, ნადავლი ტყვიამფრქვევის სროლა გააჩაღეს და მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენმა მზვერავთა ჯგუფმა ღამით მოწინააღმდეგის განლაგებაში შეაღწია. მზვერავებმა ამხ. შრუბინოვმა და კარიპანოვმა ტყვედ ჩაიგდეს გერმანელი მეტყვიამფრქვევე და თავიანთ ნაწილში წამოიყვანეს. ჰიტლერელებმა შეამჩნიეს მზვერავები და ცდილობდნენ უკანდასახევი გზა მოეჭრათ მათთვის. ჩვენი მებრძოლები თავიანთი ამხანაგების ცეცხლის საფარქვეშ მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში და თან მოიყვანეს მათ მიერ ტყვედ წამოყვანილი გერმანელი მეტყვიამფრქვევე.

სნაიპერმა რიგითმა კოპილოვმა ერთ თვეში 21 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა. სნაიპერმა ტარანოვმა ამავე ხნის განმავლობაში 17 ჰიტლერელი მოჰკლა.

* * *

ჩვენმა საზღვაო მფრინავებმა ჩრდილოეთ ნორვეგიის სანაპიროსთან იერიში მიიტანეს და ჩასძირეს გერმანელთა 5 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

* * *

გერმანიის 304-ე ქვეითი დივიზიის 573-ე პოლკის მე-2 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ვერნერ ჰესელმა განაცხადა: „მას შემდეგ, რაც საომარმა მოქმედებამ გერმანიის ტერიტორიაზე გადმოინაცვლა, განწყობილება პოლკში მკვეთრად გაუარესდა. აღმოსავლეთ პრუსიის, სილეზიის, რაინის ოლქისა და ვესტფალიის მცხოვრებმა ჯარისკაცებმა გამოიანგარიშეს, თუ რამდენი კილომეტრი დარჩათ რუსეთისა და ინგლის-ამერიკის ჯარებს მათს მშობლიურ ადგილებამდე. ახლა თითქმის ყველასათვის ცხადია, რომ გერმანიამ ომი წააგო. ჯარისკაცები შიშით მოელიან რუსების შემოტევას. ყოველგვარი საუბარი ამ თემის გარშემო ტრიალებს. ბევრ ჯარისკაცს ეშინია რუსების ტანკებისა. როგორც კი მოტორი ამუშავდება, მაშინვე განგაში იწყება. ჯარისკაცები შიშით ეუბნებიან ერთმანეთს: „რუსები გვიტევენო“.

გერმანიის 664-ე მეციხოვნეთა ბატალიონის ტყვე შტაბსფელდფებელმა ჰერბერტ შულცმა განაცხადა: „გერმანიის ტერიტორია დასავლეთით და აღმოსავლეთით საომარი მოქმედების ასპარეზი გახდა. ახლა გერმანელი ჯარისკაცები გერმანიის არმიის გამარჯვებაზე კი აღარ ლაპარაკობენ, არამედ იმაზე, თუ რამდენი დრო დასჭირდებათ წითელ არმიასა და მოკავშირეთა ჯარებს, რომ ოკუპაცია უყონ მთელ გერმანიას“.

საბრძოლო ჯგუფ „კნებელის“ 1-ლი ბატალიონის მე-3 ასეულის ტყვე უნტერ-ოფიცერმა არტურ ბირნატმა სთქვა: „გერმანია გარშემორტყმულია ყოველი მხრით. მისი მდგომარეობა უნუგეშოა. ჩვენ ომი წავაგეთ. რაც უფრო მეტ ხანს გაგრძელდება იგი, მით უფრო დამღუპველი იქნება გერმანიისათვის მისი შედეგები“.

მესტია

### საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მდივანს ამხ. ვეკუას
### მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ფარჯიანს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ზემო სვანეთის რაიონის მშრომელთ, რომლებმაც წყალქვეშა ნავ „საბჭოთა სვანეთის“ ასაგებად დამატებით შეაგროვეს 350.000 მანეთი ფულად, 905.000 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები და 52.000 მანეთი გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები.

**ი. სტალინი**

### საბჭოთა კავშირის მარშალ კ. კ. როკოსოვსკის გადაეცა მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ო. ვ. კუუსინენმა გუშინ, 29 ნოემბერს, კრემლში მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშალის ვარსკვლავი“ გადასცა საბჭოთა კავშირის მარშალ კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკის.

მასვე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე უმაღლესი მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“, ამასთან ერთად გადაეცა სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ და წითელი დროშის ორდენი წითელ არმიაში მრავალი წლის და უმწიკვლო სამსახურისათვის.

* * *

ამხ. ო. ვ. კუუსინენმა წითელი დროშის ორდენები გადასცა აგრეთვე ავიაციის მთავარ მარშალს ა. ა. ნოვიკოვს, კავშირგაბმულობის ჯარების მარშალ ი. ტ. პერესიპკინს და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. ს. შიმანოვს, რომლებიც დაჯილდოებული არიან წითელ არმიაში მრავალი წლის და უმწიკვლო სამსახურისათვის. (საქდესი).

### კრეისერი „კიროვი“

ამ სახელგანთქმული კრეისერის ქიმზე არის საამაყო წარწერა: „კიროვი“. ეს სახელი ხომალდის ეკიპაჟმა გამოატარა სამამულო ომის მკაცრ განსაცდელში, ამ სახელით გამოდიოდა იგი გამარჯვებული მტერთან სასტიკ შეტაკებებში. „კიროვი“ ბალტიის ზღვის ერთერთი ყველაზე უფრო ახალგაზრდა ხომალდია. სულ რამდენიმე დღის წინათ მისმა ეკიპაჟმა ხომალდის მწყობრში ჩადგომის 6 წლისთავი აღნიშნა.

კრეისერის საბრძოლო დიდების პირველი ფურცელი გადაიშალა ფინელებთან ომში 1939-40 წლებში. წითელფლოტელები და ოფიცრები ბრძოლებში მოქმედებდნენ მამაცურად და უნარიანად, როგორც სერგეი მირონის-ძე გვასწავლიდა. თერთმეტი კიროველი მაშინ პირველი ორდენოსანი გახდა კრეისერზე.

1941 წლის 22 ივნისს განთიადზე ხომალდის მეზენიტეებმა სროლა აუტეხეს ფაშისტთა თვითმფრინავებს. ყუმბარების აფეთქების კედელმა ხელი შეუშალა ფაშისტთა ბომბდამშენებს გამოჭრილიყვნენ ნავსადგურისაკენ, რომლის საზღვაო რეიდზე იდგა კრეისერი. ასე ჩაება „კიროვი“ სამამულო ომში.

მტერი ცდილობდა კრეისერი ჩაეკეტა ყურეში, არ მიეცა ხომალდისათვის საშუალება ტალინისაკენ წასულიყო. ბინდში, სქელ ნისლში კრეისერმა ღუზა აწია და გაემართა ვიწრო სრუტით, რომლითაც წინათ მსუბუქ გემებსაც კი არასოდეს არ უსარგებლიათ. შტურმან კაპიტან-ლეიტენანტ პეცენკოს მიერ დაკვლეული გზა ზუსტი აღმოჩნდა.

კრეისერმა ღუზა ჩაუშვა ტალინის რეიდში. ერთბაშად ახმაურდნენ მთავარი ყალიბის ქვემეხები. „კიროვის“ ზარბაზნები უშენდნენ გერმანელთა სატანკო კოლონებს, ქვეითი ჯარის დაჯგუფებებს. ფაშისტები ხომალდს შორსმსროლელ ქვემეხებს უშენდნენ. მტრის თვითმფრინავთა დიდი ჯგუფები ცდილობდნენ ჰაერიდან მოესპოთ ხომალდი. „კიროვის“ არტილერისტები თავიანთი ზარბაზნების ერთი ნაწილით საარტილერიო დუელში ებმებოდნენ, დანარჩენით კი განაგრძობდნენ ჰიტლერელთა სახმელეთო ჯარების განადგურებას.

ძნელი იყო ვიწრო რეიდზე მანევრირება. მაგრამ კრეისერი იცვლიდა სიჩქარესა და კურსს, იცდენდა დარტყმებს. ხომალდი ხან სწრაფად მიიწევდა წინ, ხან შემობრუნდებოდა და განუწყვეტლად ურტყამდა მტერს. ბევრი საგმირო საქმე გვიჩვენა ამ დღეებში „კიროვის“ ეკიპაჟმა. საზენიტო ქვემეხის მეთაურ პავლოვის გუნდმა ჩამოაგდო ორი „იუნკერსი“. სხვა ქვემეხთა გუნდებმა მოსპეს გერმანელთა 12 ტანკი.

მრავალჯერ მოუგერიეს ხომალდს ფაშისტთა ბომბდამშენები უფროსი ლეიტენანტების ალექსანდროვსკისა და კრავცოვის მეზენიტეებმა. გერმანელებს ვერ უშველეს ვერც ნაღმებმა, ვერც სატორპედო კატერების უეცარმა იერიშებმა და ვერც თვით წყალქვეშა ნავებმა. ფხიზლად ეწეოდნენ ვახტს „კიროვის“ მესიგნალეები. ბალტიელი გრიშინი, რომელიც სასიგნალო ვახტზე იდგა, ნამსხვრევით დაიჭრა მკერდში, მაგრამ საბრძოლო პოსტიდან მაინც არ წასულა.

ლენინგრადის ბლოკადის დღეებში კრეისერი ბალტიის იმ ხომალდთა შორის იყო, რომლებიც თავიანთი მკერდით იფარავდნენ ქალაქს. „კიროვის“ ზარბაზნები დაუღალავ ბრძოლას ეწეოდნენ გერმანელთა არტილერიასთან, რომელიც ლენინის ქალაქს უშენდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კრეისერი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

1944 წლის იანვარში წითელდროშოვანი კრეისერის ქვემეხებმა, ბალტიის სხვა ხომალდების ზარბაზნებთან ერთად, დაარტყეს მტრის სიმაგრეებს ლენინგრადთან. კიროველები ანადგურებდნენ გერმანელთა ხანგრძლივ საცეცხლე წერტებს და ძელმიწურ საცეცხლე წერტებს, ფაშისტთა ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

თითქმის ნახევარი წლის შემდეგ „კიროვის“ ყუმბარები ფინეთის ყურედან თავს დაატყდნენ მტრის სიმაგრეებს კარელიის ყელზე. სახმელეთო ჯარების სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა კრეისერის არტილერისტთა მოქმედებას, რომელთაგან ბევრი დაჯილდოებულ იქნა ორდენებით.

კიროვის დღეებში ხომალდზე სერგი მირონის-ძის შესახებ მოგონებებით გამოდიან ოფიცრები, რომლებიც მას ხვდებოდნენ. ხომალდის მხატვრები ამზადებენ კიროვისადმი მიძღვნილ ვიტრინებს. მთელიან ხომალდის მშენებელთა მოსვლას, რომლებთანაც ეკიპაჟს მუდმივ მეგობრული კავშირი აქვს.

**უფროსი ლეიტენანტი ა. ვიქტოროვი**

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი, 29 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.).

### მაიდანეკში მომხდარ ბოროტმოქმედებათა მონაწილე ჰიტლერელთა გასამართლება

**ლიუბლინი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ სასამართლოში, სადაც ასამართლებენ ექვს გერმანელ ფაშისტ ჯალათს, რომლებიც დამნაშავენი არიან მაიდანეკში დაპატიმრებულთა მკვლელობასა და წამებაში, დამთავრდა ბრალდებულთა დაკითხვა. მათმა ჩვენებამ ერთხელ კიდევ გადაშალა იმ საშინელ ბოროტმოქმედებათა სურათი, რომლებსაც ჰიტლერელები მაიდანეკის სიკვდილის ბანაკში სჩადიოდნენ. მოწმეთა ჩვენებით, რომელთა დაკითხვასაც სასამართლო გუშინ შეუდგა, ბრალდებულნი გამომჟღავნებულნი არიან როგორც ჯალათები და სადისტები.

მოწმეების ოლშანსკისა და ანდრია სტანისლავსკის სიტყვით, რომელთაგან მეორემ მაიდანეკის ბანაკში თითქმის ორ წელს დაჰყო, განსაკუთრებით სასტიკ ჯალათად გამოიჩინა თავი ბრალდებულმა პოლმანმა. დამნაშავე-რეციდივისტი, რომელმაც წარსულში ბევრჯერ მოიხადა სასჯელი, პოლმანი გამოგზავნილი იყო მაიდანეკში როგორც წამებათა სპეციალისტი. მოწმეთა ერთსულოვანი აზრით, ამ ჯალათის სისხლიან ანგარიშზე ითვლება ბორადად მის მიერ მოკლული ორი ათასზე მეტი პატიმარი. იგი მასობრივ ძალადობას აწყობდა ქალების მიმართ.

მოწმე ბუძენმა, რომელიც მაიდანეკში მეაფთიაქედ მუშაობდა, სასამართლოში მოიყვანა მაიდანეკის გერმანელი ექიმის ბლიანკეს განცხადება. მაიდანეკში,—ცინიკურად ამბობდა ბლიანკე,—შექმნილია ისეთი რეჟიმი, რომ ყოველგვარ გარეშე ჩაურევლადაც კი კაცი უნდა მოკვდეს, ვინც თვითონ არ იღუპებოდა, იმათ ჰკლავდნენ. სიკვდილით მასობრივად დასჯის დროს მსხვერპლთა რიცხვი რამდენიმე ასეულიდან მრავალ ათასამდე მერყეობდა.

1941 წლის ზამთარში, აჩვენებენ მოწმენი, მაიდანეკს ხელმიდან მოიყვანეს რამდენიმე ასეული საბჭოთა სამხედრო ტყვე, მათ შორის ორი პოდპოლკოვნიკი, ხუთი მაიორი, 15 კაპიტანი, რამდენიმე ათეული ლეიტენანტი და ბევრი რიგითი წითელარმიელი. ერთ კვირაზე ნაკლები ხნის განმავლობაში ისინი ყველა ჩახოცეს.

ერთხელ ბანაკში ერთბაშად დასაჯეს სიკვდილით 18 ათასი კაცი.

## უკანასკნელი ცნობები

### პრეზიდენტ რუზველტის საგანგებო რწმუნებათა განგრძობა

**ნიუ-იორკი**, 1 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ ხმათა უდიდესი უმეტესობით ერთი წლით განაგრძო კანონი ომიანობის დროს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებათა შესახებ. ამრიგად, თუ სენატი ამას დასთანხმდა, პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებანი განგრძობილ იქნება ომიანობის დროს. მაგრამ კანონპროექტში შეტანილია მუხლი სასამართლო ორგანოების უფლების შესახებ გადასინჯონ მოქმედება მთავრობის ყოველი დაწესებულებისა, რომელიც ეხება პრიორიტეტს (უპირატესობის უფლებას) მასალების განაწილების დროს.

### უინსტონ ჩერჩილის 70 წლისთავი

**ლონდონი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილს დღეს 70 წელი შეუსრულდა, ინგლისური გაზეთები აქვეყნებენ იუბილარის სახელმწიფო მოღვაწეობისადმი მიძღვნილ სტატიებს.

### პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის ახალი შემადგენლობა

**ლონდონი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა კვაპინსკის ცდები შეედგინა პოლონეთის ახალი ემიგრანტული მთავრობა, ემიგრანტთა „პრეზიდენტმა“ რაჩკევიჩმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა ტომაშ არციშევსკი. უკანასკნელმა შეადგინა მთავრობა, რომელშიც სხვებთან ერთად შევიდნენ კუკელი — თავდაცვის მინისტრი და კვაპინსკი — მრეწველობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის მინისტრი. მინისტრთა სამი პოსტი დაკავებული არ არის, ვინაიდან ეს პოსტები განკუთვნილია გლეხთა პარტიის (ამ პარტიას ეკუთვნის მიკოლაიჩიკი, რომელმაც უარი სთქვა მთავრობაში მონაწილეობაზე) წარმომადგენელთათვის.

### პოლონეთის ახალი ემიგრანტული მთავრობის შედგენისათვის

**ნიუ-იორკი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთ „პ. მ.“-ს ლონდონელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ შემადგენლობა ლონდონში შექმნილი პოლონეთის ახალი ემიგრანტული მთავრობისა, რომელსაც მეთაურობს არციშევსკი, „საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილის განხორციელების შთაბეჭდილებას სტოვებს“.

### ბონომიმ უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე

**რომი**, 30 ნოემბერი. (საქდესი). ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც დღეს საღამოს 8 საათზე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ მეფის ნაცვალმა კონსულტაციის შემდეგ მიიღო ბონომი და წინადადება მისცა ახალი მთავრობა შეედგინა. ბონომიმ თავი შეიკავა ამ წინადადების მიღებისაგან.

### ფრანგ გესტაპოელთა ბანდის გასამართლება

**ლონდონი**, 1 დეკემბერი. (საქდესი). აფის სააგენტო პარიზიდან გადმოგვცემს, რომ დღეს იწყება საფრანგეთის გესტაპოს მეთაურის კაპიტან ლაფონის, მისი მოადგილის ლეიტენანტ პიერ ბონის და სხვა მათ თანამონაწილეთა გასამართლება. პროცესი დაახლოებით ათ დღეს გასტანს.

### ტყიბულელთა მიღწევები ნოემბერში

**ტყიბული** („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტრესტი ახლა 250 ტონა ქვანახშირს იღებს ყოველდღიურად გეგმის ზევით. ნოემბრის მესამე დეკადაში მან პირველ დეკადასთან შედარებით 4.264 ტონით გაადიდა ქვანახშირის ამოღება. ნოემბრის გეგმა შესრულებულია 110,4 პროცენტით. ასეთი მაჩვენებელი ტრესტს ომის დღეებში არ ჰქონია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას გაუსწრო ლენინის სახელობის შახტმა, რომელმაც ნოემბრის გეგმა 120,7 პროცენტით შეასრულა, გეგმის ზევით ამოიღო 2.000 ტონა ქვანახშირი. ამ შახტში გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გ. ფანჩულიძის, ლ. ვაშაკიძის და ნ. ცერცვაძის უბნებმა.

სტალინის სახელობის შახტმა 106,7 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნოემბრის გეგმა. შახტი დიდი გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე მოსამზადებელი სამუშაოების გეგმებს. სტალინის სახელობის შახტში ნოემბრის გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს შ. შოთაძის, გ. გორგაძის და თ. დობორჯგინიძის უბნებმა.

ნოემბერში ჩამორჩა გელათის მაღარო, რომელმაც 5 პროცენტი დააკლო გეგმის შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ ლენინის სახელობის შახტში ლ. ვაშაკიძის და გ. ფანჩულიძის უბნებმა და სტალინის სახელობის შახტში შ. შოთაძის უბანმა უკვე შეასრულეს წლიური გეგმები. ეს უბნები ახლა 100-150 ტონა ქვანახშირს იღებენ ყოველდღიურად წლიური გეგმის ზევით.

ყველა შახტი და უბანი ერთსულოვნად არის დარაზმული წლიური გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

**დ. ქათამაძე**

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ამხ. დ. ს. კოროტჩენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინაში მრავალი წლის ნაყოფიერი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით ამხ. დემიან სერგის-ძე კოროტჩენკო დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1944 წლის 29 ნოემბერი.

### სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

ასრულებს რა მშრომელთა სურვილს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე (5 დეკემბერი) არ ვიუქმოთ, არამედ 1944 წლის 5 დეკემბერი სამუშაო დღედ ჩაითვალოს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

## კიროვის რაიონი

კიროვის რაიონში პირველად პარტორგანიზაციათა უმრავლესობა საწარმოო ხასიათისანი არიან და იმაზე, თუ როგორ იყენებენ ისინი საწარმოს ადმინისტრაციისადმი კონტროლის უფლებას, ბევრად არის დამოკიდებული რაიონის ფაბრიკა-ქარხნების მიღწევები.

1 დეკემბერს შემდგარი რაიკომის მორიგი პლენუმი მიეძღვნა იმ საკითხის განხილვას, თუ როგორ ახორციელებენ პარტიული ორგანიზაციები საწარმოს ადმინისტრაციის მოქმედებისადმი კონტროლის უფლებას. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. წერეთელმა.

რაიონის პირველად პარტორგანიზაციათა უმეტესობა სისტემატურ კონტროლს უწევს საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობას, დროზე ავლინებს და აღკვეთს ნაკლოვანებებს, ამრავლებს საწარმოო წარმატებებს. ამის მჭევრმეტყველი მაჩვენებელია ის, რომ წელს ათი თვის განმავლობაში რაიონის ფაბრიკა-ქარხნებმა და არტელებმა გეგმის გადამეტებით მისცეს ფრონტსა და სამშობლოს 3.925.600 მანეთის პროდუქცია. ადმინისტრაციის საქმიანობას ეფექტურად უწევენ კონტროლს სტალინის სახელობის პირველი ფეხსაცმლის ფაბრიკის, მეორე სამკერვალო ფაბრიკის, საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკის" და მთელი რიგი სხვა საწარმოების პარტიული ორგანიზაციები. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი არ ზრუნავს საწარმოს ადმინისტრაციის მუშაობისადმი კონტროლის უფლების განხორციელებისათვის, ღრმად არ სწავლობს საწარმოო საკითხებს და სუსტად იბრძვის საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის. ამათს რიცხვს მიეკუთვნება პირველ რიგში მეორე ტყავის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. ამ ქარხანაში არ უვლიან მოწყობილობას. 7 დანადგარიდან სრული დატვირთვით მხოლოდ 2-3 მუშაობს, 4 სარანდავი დაზგიდან დღემდე მხოლოდ ერთს იყენებენ. ქარხანა ფაქტიურად სანახევროდ უქმად დგას. აქ 6,5 პროცენტით გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება, ფულადმა გადახარჯვამ 123.600 მანეთი შეადგინა, გადახარჯულია 23.640 კილოვატსაათი ელექტროენერგია და სხვ. პირველადი პარტიული ორგანიზაცია ისმენდა ქარხნის ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების მოხსენებებს, გამოჰქონდათ სათანადო დადგენილებები, მაგრამ შემდეგ სუსტად იბრძოდნენ მათი განხორციელებისათვის. ცუდად მუშაობს აგრეთვე მეორე ქიმიური ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. ქარხანა თვიური დავალების ერთმეოთხედს ძლივსღა იძლევა. ჯაგრის ქარხნის, ქეჩის ფაბრიკის, 26 კომისრის სახელობის არტელისა და მთელი რიგი სხვა პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ვერ გაურკვევიათ საწარმოს ადმინისტრაციისადმი კონტროლის უფლების დედაარსი. ისინი ან სრულიად არ ახორციელებენ კონტროლს ანდა არღვევენ ერთმმართველობას, რითაც საბოლოოდ ვნებენ საწარმოო საქმიანობას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ნ. ჯაშიაშვილი (პირველი ფეხსაცმლის ფაბრიკა), გ. პირუმოვა (მეექვსე სამკერვალო ფაბრიკა), მ. ბელაცკაია (სატრიკოტაჟო-საგალანტერიო ფაბრიკა), რ. მალანია (პირველი ტყავის ქარხანა), ნ. ჩადრანოვი (მეორე სამკერვალო ფაბრიკა), მეხილაძე (სარეწაო კავშირი), ვ. გაბუნია (მეორე ფეხსაცმლის ფაბრიკა), ბარძიმოვი (მესამე სახელოსნო სასწავლებელი) და დ. მხითარიანი (ცელულოიდის ფაბრიკა).

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ საწარმოო საქმიანობაზე პარტიულ კონტროლს და უზრუნველჰყოფენ საწარმოო წარმატებებს.

მოსმენილი საკითხის გამო დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგში ამხ. გ. ცქიტიშვილმა.

## მოლოტოვის რაიონი

1 დეკემბერს შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მეორე პლენუმი, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ე. ჩოფიკაშვილის მოხსენება პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის დაყენების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: კანდელაკმა (პროკურატურა), ივანიშვილმა (ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი), სუზდალცევამ (კარტოგრაფიული ფაბრიკა), აფაქიძემ (პირველი სამკერვალო ფაბრიკა), ზურაბოვმა (ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკა), სალიესკიმ (მექანიკური ქარხანა), ფეტელავამ (არტელი „წითელი მკერავი") და სხვ., სულ 10 კაცმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ლორსაბოიმა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი კარგად არის დაყენებული პირველი სამკერვალო ფაბრიკის, მეორე კარტოგრაფიული ფაბრიკის, პირველი მექანიკური ქარხნის, არტელ „წითელი მკერავის" და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. მშრომელთა დეპუტატების მოლოტოვის რაიონული საბჭოს და ვოროშილოვის სახელობის არტელის პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად იწვევენ კრებებს, ღებულობენ დადგენილებებს, მაგრამ არ ამოწმებენ დადგენილებათა შესრულებას. პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი ცუდად არის დაყენებული აგრეთვე პროკურატურის, საქპურტრესტის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორის, არტელ „ქართული პურის" და ზოგიერთ სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში.

პლენუმზე აგრეთვე აღინიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის ზოგიერთი ინსტრუქტორი სათანადო დახმარებას ვერ უწევს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს კრებების მომზადების, მათი ჩატარებისა და მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების საქმეში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები რაიკომში აგზავნიან პარტიულ კრების ოქმებს, მაგრამ ხშირად ინსტრუქტორები მათს განხილვას ავიწყდებიან. რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება ამ საქმეს ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევს.

განხილული საკითხის გამო მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ვ. ხატიაშვილი.

# ზამთრის წინ

ომის პირველი დღეები იყო.

მეძროხეობის ფერმის გამგე წითელ არმიაში გაიწვიეს. ბალანთელებს (ბორჯომის რაიონი) საფიქრებელი გაუხდათ—ისეთი ვინ დაეყენებიათ ფერმის გამგედ, რომ ომამდელთან შედარებით მეცხოველეობის მეტი პროდუქტი მიეცათ ფრონტისა და ქვეყნისათვის.

ასეთ ადამიანად მოწინავე კოლმეურნე სოფიო მელიქიძე სცნეს. მისი ქმარიც ფრონტზე წავიდა. ოჯახი მცირეწლოვანი ბავშვებით სოფიოს ამარა დარჩა. მაგრამ საერთო საქმეზე ხომ უარს ვერ იტყოდა. გამრჯე ქალმა გაამართლა კოლმეურნეთა ნდობა. აგერ მესამე წელია, რაც იგი ფერმის გამგედ მუშაობს. ფერმაში გეგმით გათვალისწინებული 75 ძროხის ნაცვლად 80 ძროხა ჰყავს. წელს 70 სული ნამატი მიიღო, ყველა მზრუნველობით გამოზარდა, ყველა შეინარჩუნა. სამშობლოს ჩააბარა 7 ტონა რძე, ჩააბარა გეგმის გადამეტებით მაღალხარისხოვანი ყველი.

რაიონში პირველად ბალანთას გააქაღარავებს ხოლმე ზამთარი. ეს კარგად იცის სოფიომ, ამიტომ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებას იგი დიდი ხანია შეუდგა. ახლა ყველაფერი მზადა აქვს: თბილი ბინები, საკმაოზე მეტი მაღალხარისხოვანი საკვები, საუკეთესო მომვლელები—მარუსია და სონია მელიქიძეები, თავისი მადლიანი მარჯვენა და საერთო საქმისათვის შემატკივარი გული. მეტი რა უნდა!

მაგრამ მასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ მეცხვარეობის ფერმის (გამგე შაქრო მელიქიძე) მუშაკებსაც არანაკლები წარმატებები აქვთ.

წელს მეცხვარეობის ფერმაში 500 სული ნამატი მიიღეს და უკლებლივ შეინარჩუნეს. ფერმაში გეგმით გათვალისწინებული 1.050 სული ცხვრის ნაცვლად 1.065 სული ჰყავთ. თვითეულ ცხვარზე 2.100 გრამი მატყლი მიიღეს, გეგმა კი 2 კილოგრამს ითვალისწინებდა.

ამ ზაფხულზე მთაში ფარას ბევრჯერ დაესხნენ მგლები. დაუპატიჟებელ „სტუმრებს" ებრძოდა 16 წლის ჭაბუკი დავით მელიქიძე. ის თავის მამასთან ერთად ფხიზლად სდარაჯობდა ცხვრებს...

როცა ზაფხულში ბალანთის ზურმუხტ მთა-გორებზე ცხვარი ცვრიან ბალახს შეექცეოდა, მზე გაანათებდა არემარეს, დავითს ფიქრები გაიტაცებდა, გასცქეროდა დასავლეთით, შორს „ცხრამთის" იქით უნდოდა დაენახა, თუ როგორ ომობდა ფაშისტების წინააღმდეგ მისი ძმა. მერე მთის სუფთა ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავდა, თითქოს უნდოდა დაეყვირა, ხმა მიეწვდინა ფრონტელი ძმისთვის, რომ დავითი ისეთი ბიჭია, წელს ცხვარიც არ დაკოჭლებია; თორემ დაკარგვა რა საკადრისია. მთელ ზაფხულს დავითს გვერდით ახლდა ძმადშეფიცული 16 წლის ჭაბუკი შოთა მელიქიძე. ორივეს ფიცი აქვთ დადებული გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შეუძლიათ, ფრონტელი ძმების დასახმარებლად.

ზაფხულის ცხარე დღეებში გეგმის გადამეტებით 50 ჰექტარზე თიღეს თივა, 380 ჰექტარიდან აღებული თივა დროულად მიიტანეს საქონლის სადგომებთან, 150 ტონა სილოსი ჩადეს.

ზამთრის წინ ბალანთელებს (კოლმეურნეობის თავმჯდომარე აბელ ზედგინიძე) ყოველგვარი პირობა გააჩნიათ იმისათვის, რომ პირუტყვი საუკეთესოდ გამოაზამთრონ. გვჯერა, ამ პირობებს ისინი მთლიანად გამოიყენებენ და შემდგომშიაც მოიხვეჭენ სახელს!

**ვ. გელაშვილი**

# გეგმების შესრულება

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა ხორცის დამზადების წლიური გეგმა ვადაზე ადრე 111 პროცენტით შეასრულეს. ხორცის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 100,3 პროცენტით, კვერცხისა — 102,8-ით, მატყლისა — 100,7 პროცენტით. ხორცის დამზადება და მეცხოველეობის პროდუქტების 1945 წლის გეგმის ანგარიშში ჩაბარება წარმატებით გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი **კიკნაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ლამბაშიძე**

* * *

**წითელწყარო** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მსხვილფეხა რქიანი საქონლის დარგში გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ცხვრისა და თხის—106,3 პროცენტით, ცხენის—102 პროცენტით, ფუტკრის—100,9 პროცენტით, პირუტყვისათვის დამზადებულია საჭირო საკვები.

**შ. მოლაშვილი**

გურჯაანის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა —104,7 პროცენტით, ცხვრისა და თხის — 108,5 პროცენტით, ცხენისა—100,1 პროცენტით, ფრინველის—113 პროცენტით, ფუტკრის—100,4 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი **ფეიქრიშვილი**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გელდიაშვილი**

* * *

წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა ხორბლის თესვის გეგმა 138,5 პროცენტით შეასრულეს, ბოსტნეულის თესვისა კი — 100 პროცენტით. თესვა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი **ოზოლაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ციბაძე**

* * *

ქიათურის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე 107,1 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა. კარტოფილის ჩაბარების ვალდებულება შესრულდა 106,7 პროცენტით, ბოსტნეულისა—102,1 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქიათურის რაიკომის მდივანი **ხიდაშელი**



ბელორუსიის მესამე ფრონტი. საზენიტო ზარბაზნის გუნდი ჯავშანტრანსპორტიორებიდან ცეცხლს უშენს მოწინააღმდეგის თვითმფრინავს.
ფოტო დ. სოროკასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს სსრ სოფლის ექიმთა პირველი ყრილობა

30 ნოემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის ამხ. ხელიძის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გურჯაანის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. კირვალიძემ, აკადემიკოსმა მუხაძემ, საჩხერის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. ბორჯაძემ, ყვარლის რაიონის სოფელ საბუის საექიმო უბნის გამგემ ამხ. თევდორაშვილმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ალადაშვილმა, მახარაძის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. თავბერიძემ, ჩოხატაურის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. ჯიქიამ, ჩხოროწყუს რაიონის საფერშლო უბნის გამგემ ამხ. ლორიამ, მახარაძის რაიონის სოფელ ვაკიჯვრის საექიმო უბნის გამგემ ამხ. ჭელიძემ, სამხრეთ-ოსეთის საოლქო ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ ამხ. წერეთელმა, გალის რაიონის სოფელ ოქუმის საექიმო უბნის გამგემ ამხ. გოგოხიამ, პროფესორმა ანთაძემ, საქართველოს მთავარი საღვთიაქო სამართველოს უფროსმა ამხ. გელბახიანმა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის საექიმო უბნის გამგემ ამხ. მახაშვილმა, საქართველოს სს რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა პოლკოვნიკმა ჯაშმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბარკალაიამ, სამედიცინო სამსახურის მაიორმა ამხ. სეფიაშვილმა, ხულოს რაიონის საექიმო უბნის გამგემ ამხ. ვარდოსანიძემ, ხობის რაიონის სოფელ ხეთის საექიმო უბნის გამგემ ამხ. კობახიძემ და აკადემიკოსმა ნათიშვილმა.

ამხ. გელბახიანმა აღნიშნა, რომ სოფლად მუშაობს 315 აფთიაქი. მედიკამენტებით მომარაგება ყოველწლიურად უმჯობესდება. მაგრამ აფთიაქების მუშაობა ყველგან არ დგას სათანადო დონეზე. ბევრგან აფთიაქებს არა აქვთ შესაფერი ბინა, მოწყობილობა, ინვენტარი და სხვ.

პოდპოლკოვნიკმა ჯაშმა, სამედიცინო სამსახურის მაიორმა სეფიაშვილმა და საქართველოს სსრ ჯანსახკომის მოადგილემ ამხ. ბარკალაიამ ილაპარაკეს წვევამდელთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. უნდა მივიღოთ ყველა საჭირო ზომები, რათა გმირ წითელ არმიას მივცეთ ჯანსაღი შევსება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სამამულო ომის ინვალიდთა მკურნალობას, რათა ისინი მალე დაუბრუნდნენ შრომის ფრონტს.

ყველა დელეგატის ერთსულოვანი ხანგრძლივი ოვაციით ყრილობამ მიიღო მისალმება ამხანაგ მოლოტოვისადმი.

30 ნოემბრის საღამოს სხდომაზე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის ამხ. ხელიძის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ კასპის რაიონის სოფელ წითელქალაქის საექიმო უბნის გამგე ამხ. მანველიძე, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. შაშიკაშვილი, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს საექიმო უბნის გამგე ამხ. ქარაზანაშვილი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. გურგენაშვილი, გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის საექიმო უბნის გამგე ამხ. ზურმუხტაშვილი, საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. მინდაძე, მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვის საექიმო უბნის გამგე ამხ. ფარცვანია, პროფესორი ერისთავი, საქართველოს მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. კობალაძე და პროფესორი შუშანია.

ამხ. შაშიკაშვილმა ვრცლად ილაპარაკა აჭარის ასს რესპუბლიკის რაიონებში სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის მდგომარეობის შესახებ. დიდი ყურადღება ექცევა ეპიდემიათა საწინააღმდეგო ღონისძიებებს, სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, წვევამდელთა და ინვალიდთა ჯანმრთელობის დაცვას და სხვ.

ამხ. გურგენაშვილი ეხება კადრების საკითხს. თუ 1942 წელს სოფლის საექიმო უბნებს აკლდა 100-მდე ექიმი, ამჟამად თითქმის ყველა საექიმო უბანი დაკომპლექტებულია მედპერსონალით. მაგრამ საჭიროა ამ კადრებისათვის ზრუნვა და მათთვის ხელის შეწყობა. სოფლად უბნის ექიმი უნდა ეხმარებოდეს მასთან მომუშავე საშუალო მედპერსონალს. საჭიროა მოეწყოს გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ექიმები უნდა ზრუნავდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ ილაპარაკა ამხ. მინდაძემ. მან დაასახელა მთელი რიგი სანიმუშოდ მომუშავე საექიმო უბნების გამგეები, როგორც, მაგალითად, გორის რაიონის მეჯვრისხევის საექიმო უბნის გამგე ამხ. ზურმუხტაშვილი, მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვის საექიმო უბნის გამგე ამხ. ფარცვანია, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს საექიმო უბნის გამგე ამხ. ქარაზანაშვილი და სხვ. ამხ. მინდაძემ ილაპარაკა აგრეთვე იმ საექიმო უბნის გამგეებზე, რომლებმაც ვერ შესძლეს თავიანთი მუშაობის მოწესრიგება.

პროფესორმა ერისთავმა აღნიშნა, რომ სოფლად მომუშავე ექიმები მუდამ უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, დროგამოშვებით პრაქტიკას გადიოდნენ პოლიკლინიკებში. საჭიროა მეტი დახმარება გავუწიოთ განთავისუფლებულ რაიონებს, მეტი რაოდენობით გავაგზავნოთ ექიმთა კადრები იქ სამუშაოდ.

სოფლის ექიმთა მუშაობის პირობების გაუმჯობესებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლაზე ილაპარაკა საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კობალაძემ. მან თავის გამოსვლაში მკვეთრად გააკრიტიკა მედსანშრომის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაობა.

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა შუშანიამ აღნიშნა ის ნაკლოვანებანი, რაც არსებობს სოფლად სამშობიარო სახლების მუშაობაში. საჭიროა გადამჭრელი ზომები ქალთათვის სამშობიარო დახმარების გასაუმჯობესებლად.

ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ წინადადებას ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიასათვის** მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ.

პირველი საკითხის გამო კამათის დამთავრების შემდეგ, მოხსენებით „სოფლის სანიტარული მდგომარეობის შესახებ" გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე და მთავარი სანინსპექტორი ამხ. ფრანგულიანი.

ამხ. ფრანგულიანმა აღნიშნა, რომ ომის სამსახიერო წლის განმავლობაში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა ძირითადად კარგად იმუშავეს ზურგის სანიტარულ-ეპიდემიური კეთილდღეობის განმტკიცებისათვის. მთავარი ყურადღება ექცეოდა ისეთ უმნიშვნელოვანეს ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლას, როგორიცაა პარტახტიანი და მუცლის ტიფი, დიზენტერია და სხვ.

ეპიდემიათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მიღწევებთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ნაკლოვანებაც, მაგალითად, ბავშვთა არასაყოველთაო რევაქცინაცია, მალარიასთან ბრძოლის შესუსტება, ზოგი საავადმყოფოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და სხვ. მომხსენებელმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლად ეპიდემიათა საწინააღმდეგო მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

1 დეკემბერს დილის სხდომა დაიწყო საქართველოს სსრ ჯანსახკომის ეპიდემიათა საწინააღმდეგო სამმართველოს უფროს ამხ. კაციტაძის თანამოხსენებით — „ეპიდემიურ დაავადებებთან ბრძოლა სოფლად".

ამხ. კაციტაძე დაწვრილებით შეეხო ეპიდემიათა საწინააღმდეგო მუშაობის მდგომარეობას სოფლად. სამამულო ომის განმავლობაში სოფლად ადგილი არ ჰქონია ეპიდემიებს. სწრაფად ხდებოდა დაავადების ცალკეული შემთხვევების ლიკვიდაცია. ყოველწლიურად მცირდება მუცლის ტიფით, დიზენტერიით, ბავშვთა ინფექციური სნეულებებით დაავადების შემთხვევები. უკანასკნელ წლებში სრულიად არ ყოფილა ყვავილით დაავადების შემთხვევები. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროა სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დეზინფექციას, დეზინსექციას და სხვა ღონისძიებებს.

ამხ. ფრანგულიანის მოხსენებისა და ამხ. კაციტაძის თანამოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჭარის საექიმო უბნის გამგე ამხ. ჩხაიძე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ბუაჩიძე, გორის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ხერხეულიძე, პროფესორი ანდღულაძე, ასპინძის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ყუჟიაშვილი, აბაშის რაისაავადმყოფოს გამგე ამხ. ფალავა, ქობულეთის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. დოლიძე, ყვარლის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. ბუიშვილი, ტყიბულის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. გოგოძე, საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამალარიო ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. ჩხოლარია, გაგრის რაისაავადმყოფოს გამგე ამხ. ნესტეროვი, საქართველოს სსრ ჯანსახკომის დედათა და ბავშვთა დაცვის სამმართველოს უფროსი ამხ. ადამია, ხულოს რაისაავადმყოფოს გამგე ამხ. თევზაძე, საქართველოს სსრ ჯანსახკომის ვენინსპექტორი ამხ. ფოჩხუა, [illegible] რაიონის სოფელ დარჩელის საექიმო უბნის გამგე ამხ. თუზბაია, ექიმი შირაზიანი (ახალქალაქი) და ექიმი ჰანკვეტაძე (ბაშკიჩეთი).

# საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია დაბრუნდა იტალიიდან

27 ნოემბერს იტალიიდან მოსკოვს დაბრუნდა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიან პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი მ. პ. ტარასოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), დაზგა-ინსტრუმენტის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. დ. აქსიონოვი, უკრაინისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფკავშირების საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე პ. ვ. სუპლეცოვი და დ. პ. შევლიაგინი (დელეგაციის მდივანი).

დელეგაცია იტალიაში გაემგზავრა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიწვევით. 27 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე მან მოიარა იტალიის განთავისუფლებული ნაწილის ძირითადი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ცენტრები. ყველგან საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის ჩასვლა იწვევდა საბჭოთა ხალხისადმი, წითელი არმიისა და ამხანაგ სტალინისადმი იტალიის მშრომელთა მხურვალე მეგობრობისა და სიმპატიების დემონსტრაციას.

დელეგაცია გამოვიდა პროფკავშირული აქტივის 76 მიტინგზე და 22 კრებაზე, რომლებსაც დაესწრო 250 ათასზე მეტი კაცი. ყველა შეხვედრაზე პროფკავშირთა ხელმძღვანელებმა და იტალიის მშრომელმა მასებმა დელეგაციას სთხოვეს მათი ძმური მგზნებარე სალამი გადასცეს საბჭოთა პროფკავშირებს, საბჭოთა ხალხს, გმირ წითელ არმიას, მის მხედართმთავარს უმაღლეს მთავარსარდალ ამხანაგ სტალინს. (საკდესი).

# დეპეშები

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი**, 1 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ჰოლანდიაში მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ ოპერაციებს „ტომრის" გასაწმენდად მდინარე მაასის რაიონში და დაიკავეს მტრის დასაყრდენი პუნქტები ორ ციხე-დარბაზში ვანსუმისა და ბრუკჰაიზენის მახლობლად. სოფელი ბრუკჰაიზენი განთავისუფლებულია მოწინააღმდეგისაგან.

ლინიხის რაიონში (გერმანია) მოკავშირეთა ნაწილები მდინარე რურს მიადგნენ, კოსლარის ჩრდილოეთით. ბრძოლები სწარმოებს ბეეკში, ლინდერნსა და ფლოსდორფში.

უფრო სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა გაფთრებული ბრძოლების შემდეგ ლამერსდორფი გასწმინდეს და შეიჭრნენ ინდენის რაიონში, მდინარე ინდეს დასავლეთით. მეროდეში გრძელდება გაფთრებული ბრძოლები.

ვოგეზებში, სავერნის კლდეკარის ჩრდილოეთით და ჰაგენაუს მიდამოებში მოპოვებულია ერთგვარი წარმატება.

მოწინააღმდეგე [illegible] ბით დაუშინეს [illegible].

ელზასის ვაკის ჩრდილოეთ ნაწილში მოკავშირეთა ჯარებმა დასძლიეს მტრის უმნიშვნელო წინააღმდეგობა და ჰერსტჰაიმსა და შტოტცჰაიმს მიაღწიეს. ვოგეზების სამხრ[ეთ] ნაწილში გრძელდება ფართო ფრონტით შეტ[ე]ვა; მოკავშირეთა ნაწილები ორ მილზე [...] ფებიან ურბისიდან და სენ ამარენიდან.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდ[ა]ხმას მოწინააღმდეგის სხვადასხვა სამხედ[რო] ობიექტებზე.

**ლონდონი**, 1 დეკემბერი. (საკდესი). [ს]ომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის აუ[ზ]ზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებუ[ლი] ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, [რომ] იტალიაში, ქალაქ ფაენცის აღმოსავლეთ[ით] მე-8 არმიის ნაწილებმა რამდენადმე წაიწ[იეს] წინ მდინარეებს ლამონესა და მონტონეს შ[უა] მდებარე რაიონში. ამ ფრონტის დანარჩენ უ[ბ]ნებზე პატრულები მოქმედებდნენ. მე-5 არმ[იის] ინგლისელთა და ინდოელთა ნაწილებმა რა[მ]დენიმე მაღლობი დაიკავეს.

## ამერიკის 2.200 თვითმფრინავი თავს დაესხა გერმანიას

**ლონდონი**, 1 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონში გამოაცხადეს, რომ 1.200-ზე მეტი „მფრინავი ციხე", რომელთაც თან ახლდა 1.000-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი, გუშინ თავს დაესხა სინთეზური საწვავის ქარხნებს ლაიფციგის რაიონში. დაბომბეს სინთეზ[ური] საწვავის ქარხნები ბელენში, ცაიცში, მერზ[ე]ბურგსა და ლუცკენდორფში. ბომბდამშენ[ებ]მა თავს დაესხნენ აგრეთვე რკინიგზის დეპ[ოს] საარბრიუკენში.

## მასობრივი დეზერტირობა გერმანიის „ფოლკსშტურმიდან"

**სტოკჰოლმი**, 1 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „აფტონტიდნინგენი" იუწყება, რომ გესტაპო ბერლინში დაეძებს 56 ათას გერმანელს, რომლებიც გაწვეული არიან ეგრეთწოდებულ „ფოლკსშტურმის" რაზმებში. ეს პირები [..] ნოემბერს უნდა გამოცხადებულიყვნენ სარ[ე]გისტრაციოდ, მაგრამ მათგან არავინ გამოცხ[ა]დებულა.

## დამარცხების განწყობილებისათვის სიკვდილით დასაჯეს გერმანელი მრეწველი

**სტოკჰოლმი**, 1 დეკემბერი. (საკდესი). გერმანული ფაშისტური გაზეთი „ჰამბურგერ ფრემდენბლატი" იუწყება, რომ ჰამბურგის სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს ჰამბურგის სამრეწველო კონცერნის გენერალური დირექტორი დოქტორი ალბერტ ვილი. როგორც გაზეთი სწერს, ვილის დანაშაული ის იყო, რომ „მკვეთრად გამოსთქვა დამარ[ც]ხების სულისკვეთება გერმანიის სამხედრ[ო] პერსპექტივებისა და გერმანიის ვალუტის სი[მ]ტკიცის შესახებ, აგრეთვე გერმანელი მუშებ[ის] განწყობილების შესახებ, ამასთან ეჭვი შე[ი]ტანა იმაში, რომ გერმანელი მუშები [ შე]ძლებენ განაგრძონ მუშაობა".

## წითელი არმიის მებრძოლთა ძეგლის გახსნა ბელგრადში

**ბელგრადი**, 30 ნოემბერი. (საკდესი). ბელგრადში გაიხსნა ძეგლი საბჭოთა მეომრებისა, რომლებიც დაეცნენ ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ძეგლის გახსნას დაესწრნენ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის, სერბიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს, იუგოსლავიის ანტიფაშისტი ახალგაზრდობის გაერთიანებული კავშირის წარმომადგენლები და სხვები.

გაზეთებმა მოათავსეს ძეგლის საზეიმ[ო] გახსნის დაწვრილებითი აღწერა. გაზეთი „პო[]ლიტიკა" სწერს: „თავისუფლებისადმი დია[დ] სიყვარულმა მოიყვანა წითელარმიელები ჩვე[ნს] მხარეში. იბრძოდნენ რა ფაშიზმის მიერ ყვ[ე]ლა ჩაგრულთა თავისუფლებისათვის, მათ ათა[]სობით კილომეტრი გამოიარეს, გადმოლახ[ეს] მრავალი მთაგრეხილი, ღრმა მდინარეებ[ი], ფართო ველები. ფასდაუდებელია მათ[ი] ძსხვერპლი, უმაგალითოა მათი ბრძოლა".

## ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა

**ჰელსინკი**, 30 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დაიხურა ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. კამათში, რომელიც ყრილობაზე სწარმოებდა, თვალსაჩინო ადგილი ეკავა საკითხს პარტიის ხელმძღვანელობის და, კერძოდ, მისი ლიდერის ტანერის ომიანობის დროინდელი პოლიტიკის შეფასების შესახებ, აგრეთვე ეგრეთწოდებული „ექვსის ჯგუფის" მიმართ დამოკიდებულების შესახებ (ლაპარაკია ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ექვს მოღვაწეზე, რომლებიც ფინეთის მთავრობის პროფაშისტური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, გარიცხული იყვნენ პარტიიდან და საპყრობილეში იყვნენ მოთავსებულნი, საიდანაც ისინი მხოლოდ დროებითი ზავის დადების შემდეგ გაათავისუფლეს).

თუმცა ტანერის მოღვაწეობა გაკრიტიკებულ იქნა ყრილობის მთელი რიგი ოპოზიციონერი დელეგატების მიერ, ყრილობამ იმ ლიდერების გავლენით, რომლებსაც პასუხისგება აკისრიათ პარტიის მთელი წარსული პოლიტიკისათვის, ტანერი არ დაჰგმო. ყრილობის მიერ გამოყოფილი პროცედურის საკითხების კომისია დაკმაყოფილდა განცხადებით იმის შეს[ა]ხებ, რომ „ტანერის როლი ფინეთის საგარ[ეო] ზედში მეტად გაზვიადებულია". ტანერმა თვ[ი]თონ მოხსნა თავისი კანდიდატურა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორ[]განოს — მისი აღმასკომის არჩევნებისას. მაგ[ა]რამ ახლად არჩეული აღმასკომის შემადგე[ნ]ლობაში უმეტესობას შეადგენენ იმ პოლიტ[ი]კის მომხრენი, რომელსაც სოციალ-დემოკრა[]ტიული პარტიის აღმასკომი ახორციელებ[და] ომიანობის დროს.

ამასთან ერთად ყრილობამ მოიწონა პროცე[]დურის საკითხების კომისიის წინადადება, რო[მ]ელშიც ნათქვამია, რომ „პარტიიდან „ექვსი[ს] ჯგუფის" გარიცხვის გადაწყვეტილება დასა[]ბუთებული იყო". ცხადია, კომისია ცდილობ[და] შეერბილებინა ამ რეზოლუციით მოხდენი[ლი] შთაბეჭდილება და თავის წინადადებას დაუმ[ა]ტა, რომ „ეს არ უნდა გახდეს დაბრკოლებ[ა] პარტიაში „ექვსის" ჯგუფის დაბრუნებისათ[]ვის, თუ ჯგუფის წევრები თვითონ ისურვე[]ბენ ამას და შეასრულებენ პარტიისა და მის[ი] ორგანოების გადაწყვეტილებებს".

## ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის მოგებათა გაცემა

ფულისა და ნივთების მესამე ლატარიით მოსახლეობას მიეცა 380 მილიონი მანეთის ფულადი მოგება და ნივთმოგება. ლატარიის ხელმომწერლებმა მიიღეს 170-ზე მეტი მოგება 50 ათასი მანეთისა თვითეული, 650 მოგება 25 ათასი მანეთისა თვითეული და 2.780 მოგება 10 ათასი მანეთისა თვითეული. დაახ[]ლოებით 50 ათასი ამანათი ნივთმოგებისა[] გაიგზავნა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფ[ე]ლებში.

მოგებათა გაცემა გაგრძელდება 1945 წლ[ის] 1 იანვრამდე. (საკდესი).

## რუსთაველის თეატრში

### „საპატარძლო აფიშით", მე-100 წარმოდგენა

კვირას, 3 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგმება გოლდონის კომედიის „საპატარძლო აფიშით" მე-100 წარმოდგენა. სპექტაკლში თამაშობენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ემ. აფხაიძე, დამსახურებული არტისტები რ. ბერიძე, ლ. ადამიძე და ნ. ჩხეიძე, თ. თარხნიშვილი, კ. კედია, კინწურაშვილი და სხვ.

**4 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია**

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის X პლენუმი.**

**დღის წესრიგი: რაიონის ახალგაზრდებს შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების შესახებ (მომხსენებელი — რაიკომის მდივანი ამხ. თ. ქვლივიძე).**

## თეატრებში

**2 დეკემბერს: სახელმწიფო ოპერა** — „ბახჩისარაის შადრევანი". **რუსთაველის სახელობის** — „სირანო დე-ბერჟერაკ". **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავს, ვეღა[რ] ნახავ". **გრიბოედოვის სახელობის** — „საგაზ[]გზო კანონი". **სომხური** — „ვარაზდატ". **ახუნდოვის სახელობის** — კერაგობა და სი[]ყვარული". **მუსკომედიის** — „მზის დაბნელ[ე]ბა". **სანკულტურის** — „სევდიანი რომანი". **მოზარდი მაყურებლის** — ქართული — „წი[]თელ ქუდა", რუსული — „ოქროს გასაღები".

## კინოებში

**2 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის** — „სიმღერა რუსეთზე". **ოქტომბერი** — „ძვე[ლი] ჩიკაგოში". **დამკვრელი** — „ბაღდადელი ქურ[]დი". **კომკავშირელი** — „ტრაქტორისტები". **სპარტაკი** — დღისით „ოქროს გასაღები", სა[]ღამოს — „ზოია". **ლუქსემბურგის სახელობის** — „გრიგალი". **26 კომისრის სახელობის** — „უმზითვო პატარძალი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**


ლილი ამაშუკელი, მარო ყორღაკაშვილი, ვალია ხაზალია, ეკატერინე მინდაძე იუწყებიან გუგული ცინცაძის მეუღლის **სოგრატ გობეჯიშვილის** გარდაცვალებას.

ბადური, ბარბარე, ზურაბ ფანიაშვილები, ქსენია, პაშა ბილიხოძეები იუწყებიან ექიმ **სიკო იშხნელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XII, 6 ს. გამოსვენება 3/XII, 5 ს.

შალვა და ოლია მინდორაშვილები შვილებით რაულით, ომარით და ნათელათი, მშობლებით ნინოთი და ნატაშათი იუწყებიან **დათიკო (ალექსანდრე) ლეჟავას** გარდაცვალებას.

ბიძაშვილები ნიკოლოზ და ანა ლეჟავები შვილებით იუწყებიან **დათიკო (ალექსანდრე) ლეჟავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XII, 7 ს. საბჭოს 60.

სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატის სასწავლო-საწარმოო კომბინატის № 3 სახელოსნოს მუშაკები იუწყებიან **ვიქტორ ანჯაფარიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, შვილი ვახტანგი, ძმა ფორანი, დები და ძმისწულები იუწყებიან ექიმ **სიმონ იშხნელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/XII, 7 ს. გამოსვენება 3/XII, 2 ს. ლვოვის ქ. 9.

დედა ევგენია, მეუღლე გულიკო, შვილი მანანა გობეჯიშვილები. და ნინო, ძმა შალვა ჩაგელიშვილები იუწყებიან **სოგრატ გობეჯიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/XII, 2 ს. მუხრანის, 10, მე-2 შესასვლელი.

მეუღლე ფედოსი, შვილები გივი, მარგო, ანო, სიძეები ფ. მიქაბერიძე, ა. დვალი ცოლით იუწყებიან, რომ 3/XII, 3 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია **ილია ბასილაშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე კატო, შვილი ამბერკი, რძალი რაისა იუწყებიან **ერასტი ბაზიარის** გარდაცვალებას.


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07940